ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N28

7 აგვისტო, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ქ. ჯოხაძე, მ. დარჩია, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. თარაშ შურღაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
2. დავით ფანცულაია - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
3. ირაკლი თურმანიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
4. ნინო გულბათაშვილი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის განხილვა.
   მომხსენებელი: კახაბერ გვანცელაძე
   თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე მოვლენები ყოველდღიური განხილვის საგანია, რომლის დროსაც, სამწუხაროდ, გახშირდა ზღვარგადასული კრიტიკა მიღწეული უპრეცედენტო შედეგების უგულებელყოფით. დეპუტატის ინფორმაციით, 2014 წელს თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღები ემსახურებოდა 51 000-მდე აღსაზრდელს, გატარებული რეფორმების შედეგად კი მათი რიცხვი 61 000-მდე გაიზარდა და ეს მზარდი დინამიკა მიმდინარე წელსაც გრძელდება, კერძოდ, მშენებარე 9 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღიდან 2019 წელს 5 საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნება. 2014 წლიდან კი 25 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, მოეწყო ათეულობით ბაღის ეზო, გარემონტდა ფასადები, ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, გადაიხედა საბავშვო ბაგა-ბაღების მეთოდოლოგია, ყველა ბაღში დაემატა ახალი შტატები ფსიქოლოგის, ლოგოპედისა და სპეც-პედაგოგის და შეიქმნა მულტიფუნქციური ჯგუფები. ასევე, გადამზადნენ თანამშრომლები, ფსიქოლოგებისა და ლოგოპედებისთვის შეიქმნა სახელმძღვანელოები, დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა და ინოვაციური სწავლების მეთოდოლოგია.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე აღნიშნა, რომ 2014 წლამდე თბილისში 49 საბავშვო ბაგა-ბაღი დაიხურა, რის საპირისპიროდაც, 2014 წლიდან კომპლექსური რეფორის

ფარგლებში დაიწყო ახალი ბაღების მშენებლობა, გაუმჯობესდა სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდოლოგია, გადამზადდა სამედიცინო მედ-პერსონალი, 20%-მდე გაიზარდა ბაგა-ბაღების პერსონალის ანაზღაურება, მიეცათ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით სარგებლობის საშუალება და სამგზავრო შეღავათებით. დეპუტატის თქმით, აღნიშნული რეფორმა წარმატებულია და მისი შედეგები თვალსაჩინოა, რომელსაც აღიარებს გაერო-ს ბავშვთა ფონდი და რაც მთავარია, აღსაზრდელთა მშობლები. დეპუტატის თქმით, მიუხედავად უკვე მიღწეული შედეგებისა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია აქტიურად აგრძელებს მუშაობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რომელიც მზად არის, ხელი შეუწყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას და ანაზღაურების გაზრდას.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა რევაზ სოხაძემ ისაუბრა 196-ე საჯარო ბაგა-ბაღის დირექტორის გათავისუფლების საკითხზე და აღნიშნა, რომ მსგავს დარღვევებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ჰქონდეს დროული და შესაბამისი რეაგირება ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სისტემის გაუმჯობესებისა და ბავშვთა ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ სხდომის მონაწილეები.

ბატონი კახაბერ გვანცელაძე დაეთანხმა დეპუტატებს და აღნიშნა, რომ აღნიშნულ ბაღში 2 აღსაზრდელი, ყოფილ დირექტორთან შეთანხმებით, რეგისტრაციის გარეშე იღებდა სერვისს თვეების განმავლობაში, დარღვევის აღმოჩენისთანავე კი სააგენტომ დაუყოვნებლივ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოისმინეს:

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ მადლობა გადაუხადა განათლებისა და კულტურის კომისიას სხდომაზე მოწვევისთვის და აღნიშნა, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია საკრებულოში საკომისიო ფორმატში საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა, ამჯერად კი წარმოადგენდა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წლის პირველი 6 თვის ანგარიშსა და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებს.

სააგენტოს დირექტორის თქმით, გარდა 9 ახალი ბაღის მშენებლობისა, თბილისის მე-10 და 21-ე საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს დამატებითი კორპუსების მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს 12 ავარიული ბაღის შენობის გამაგრება, დედაქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახურში კი გადაგზავნილია 5 ბაღის პროექტი და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სააგენტო გამოაცხადებს ტენდერს. საბავშვო ბაღების კონსტრუქციული მდგრადობის საკითხთან

დაკავშირებით კი სააგენტო მუშაობს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და მოცემული დროისთვის გამოვლენილია 12 სადემონტაჟო ბაღი.

ბატონ კახაბერ გვანცელაძის თქმით, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები, რის ფარგლებშიც აქცენტი კეთდება ბაღების ეზოების მოწყობაზე, მათ შორის, თანამედროვე ატრაქციონებით, სადაც, ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით, მონტაჟდება კაუჩუკის საფარი. მისი თქმით, ვაკის რაიონის გამგეობამ საკუთარი სახსრებით უზრუნველყო ხუთი ბაღის ეზოს მოასფალტება, რაც, ერთი მხრივ, მუნიციპალური ბიუჯეტის ეფექტიანობას და მეორე მხრივ, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანი რესურსების დაზოგვას უზრუნველყოფს და სურვილი გამოთქვა, მსგავსი დახმარება სხვა გამგეობებმაც გაუწიონ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, სამდივნო უზრუნველყოფს შეხვედრას გამგეობებთან, რომელზეც იურიდიული სამსახურების წარმომადგენელთა ჩართულობა აუცილებელი იქნება. ბატონმა გიორგი ტყემალაძემ კი აღნიშნა, რომ გამგეობის კონტრიბუცია ამ ნაწილში იქნება მაღალეფექტიანი, თუმცა საჭიროებს დეტალურ სამართლებრივ და პროცედურულ შესწავლას.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციური განვითარების მიზნით, სააგენტომ შექმნა ახალი პორტალი, რომლის განახლებაზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა. პორტალი ხელს უწყობს სააგენტოს ეფექტურ კომუნიკაციაში, თუმცა საჭიროებს დახვეწას. ასევე, მშობლების მოთხოვნის შესაბამისად, საპილოტე პროექტი დაინერგა 10 ბაღში, სადაც სამზარეულოებსა და ბაღის მთავარ შესასვლელებში დამონტაჟდა კამერები. შედეგად, მათ შეუძლიათ ნახონ, თუ როგორ მზადდება საკვები და როგორ ინახება ისინი საწყობში.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებში ვიდეოდაკვირვების შედეგად მიღებული გამოსახულების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016 წელს მემორანდუმი გააფორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან და თბილისის ყველა საჯარო ბაღის დირექტორსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრეინინგები.

სააგენტოს დირექტორის ინფორმაციით, ბაღებში სათამაშოების განახლების მიზნით, რამდენჯერმე გამოცხადდა ტენდერი, რომლის პირობები ითვალისწინებდა ქართული, ადგილობრივი საწარმოების ხელშეწყობას, თუმცა მათ მიერ ნაწარმოები სათამაშოები ვერ აკმაყოფილებდა ევროსტანდარტებს, რის

გამოც, სააგენტო იძულებული გახდა, ევროსტანდარტის შესაბამისი უცხოური წარმოების სათამაშოები შეეტანა ბაღებში, რაც მიმდინარე წლის ოქტომბერში მოხდება.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ საუბარი გააგრძელა ახლად აშენებული ბაღების ინტერიერის მოწყობაზე და აღნიშნა, რომ სააგენტო მუშაობს სარეკლამო კომპანიებთან, რათა განახლებული ინტერიერის დიზაინი შეიტანონ ფერებისა და ავეჯის კუთხით.

საბავშვო ბაგა-ბაღებში არასაკმარისი ადგილების რაოდენობა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა სააგენტოს დირექტორმა და ამ კუთხით, ვაკის, ჩუღურეთისა და საბურთალოს რაიონები გამოყო, ვინაიდან აღნიშნულ რაიონებში არ არის მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული სტანდარტის შესაბამისი ფართობის თავისუფალი მიწები, რის გამოც ვერ შენდება ახალი ბაღები. ბატონი კახაბერ გვანცელაძის თქმით, პრობლემის გადაჭრის მიზნით, სააგენტომ მიმართა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს თხოვნით, დაიწყოს მიწების ჩანაცვლების პროცესი. სააგენტოს დირექტორის თქმით, საკითხი კიდევ უფრო მწვავე გახდება ავტორიზაციის წესის ამოქმედების შემდეგ, ვინაიდან ის გამოავლენს ბევრ კერძო ბაღს, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს და გაიზრდება საჯარო ბაღებზე მოთხოვნა, რისთვისაც მუნიციპალიტეტი მზად უნდა იყოს.

საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინიცირებისთვის ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას და აღნიშნა, რომ დანერგილმა მულტიფუნქციურმა ჯგუფებმა გაამართლა, რასაც მოწმობს სააგენტოში ვიზიტით მყოფი ესტონელთა დელეგაციის შეფასებები. გარდა ამისა, სააგენტოს დირექტორის თქმით, ბაღების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს ბაღის მენეჯერული პოზიციების პერსონალის გადამზადება მუნიციპალური განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს ნორმატიული აქტების მიღებას, რომელთაგან ერთ-ერთი - „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2017 წლის N13-52 დადგენილება იქნა მიღებული. ამასთან, განათლებისა და კულტურის კომისია მუშაობს დანარჩენი

აქტების დადგენილების პროექტებზე, მათ შორის, დირექტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, რომელთა დამტკიცებისა და ამოქმედების დროისთვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალი აკმაყოფილებდეს ახალ სტანდარტებსა და რეგულაციებს.

ბატონი კახაბერ გვანცელაძე დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ დაიწყო 2550 აღმზრდელის პირველადი სამედიცინო დახმარების ორდღიანი გადამზადების კურსი, რომელსაც ყველა აღმზრდელი გაივლის. ასევე, თბილისის 10 საბავშო ბაგა-ბაღის თანამშრომლები გადამზადნენ სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში ტრანზიციის ეფექტური პროცედურების საკითხებში, რომელიც მოიცავდა ბაგა-ბაღებისა და სკოლების ერთობლივ შეხვედრებს ტრანზიციის პროცესში თითოეული ორგანიზაციის როლის მნიშვნელობაზე ბავშვის განვითარებაში. სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე, აღნიშნა, რომ თბილისის N37 ბაგა-ბაღის 34 აღმზრდელს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცა. პროექტის ფარგლებში გადამზადდა ბაღის ყველა თანამშრომელი, მათ გადაეცათ შესაბამისი სახელმძღვანელოები და თანამედროვე ცოდნა ინკლუზიური განათლების შესახებ. სააგენტოს ხელმძღვანელმა, ასევე აღნიშნა, რომ სააგენტო ცდილობს დამატებითი სახსრების მოზიდვას ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების და აღნიშნული კუთხით, თანამშრომლობა შედგა ესტონეთის ბაღების მართვის სააგენტოსთან.

სააგენტოს დირექტორის ინფორმაციით, საბავშვო ბაგა-ბაღებში 2019 წლის 6 თვეში ჩატარდა სხვადასხვა თემატური ღონისძიება, მათ შორის - დედაენის დღე, დედამიწის დღე, წყლის საერთაშორისო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, გამოსაშვები ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები „მხიარული თამაშები“ და სხვა.

სააგენტოს დირექტორმა საუბარი გააგრძელა საბავშვო ბაგა-ბაღების კვების საკითხით და აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში კონტრაქტორი კომპანიების შერჩევისთვის გამოცხადდება ორი ტენდერი, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მიხედვით. მისი თქმით, სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, შეცვალა ტენდერის მოდიფიკაცია და ტენდერი ცხადდება არა კვებით მომსახურებაზე, არამედ საკვებ პროდუქტებზე ცალ-ცალკე, კერძოდ ხილ-ბოსტნეულზე, ხორც-პროდუქტებსა და რძის პროდუქტებზე.

საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ლარის კურსის ბოლოდროინდელი რყევის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატენდერო ფასის სწორად შერჩევა, რათა მიღწეული იყოს

შესაბამისი მოცულობა და ხარისხი. რაზეც ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ ტენდერს აცხადებს დედაქალაქის მერია და ორგანიზებას უწევს მისი შესაბამისი სამსახური, რომელმაც ჩაატარა ბაზრის კვლევა და ამის შედეგად დაადგინა ფასი.

ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების მონიტორინგთან დაკავშირებით, სააგენტოს დირექტორმა აღნიშნა, რომ პერიოდულად ჯერ კიდევ ფიქსირდება გარკვეული გადაცდომები, რამდენადაც მყისიერად რეაგირებს სააგენტო კანონის ფარგლებში.

კახაბერ გვანცელაძის თქმით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემები დამონტაჟდა 148 ბაგა-ბაღში; მოხდა ბუნებრივი აირის გამათბობელი მოწყობილობებისა და საქვაბე ნაგებობების დემონტაჟი და მონტაჟი კანონმდებლობის შესაბამისად, უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით; ასევე, გამოცხადდა ტენდერი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით სრულად აღჭურვის თაობაზე და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კონტრაქტორს მიეცემა 90 დღიანი ვადა პროექტის დასრულებისთვის; წითელას იმუნიზაციის მიზნით, 2019 წლის დასაწყისში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული წითელას ეპიდემიის გავრცელების პრევენციის კამპანიაში ჩაერთო ყველა საბავშო ბაგა-ბაღი, შედეგად, ბაგა-ბაღების პედაგოგები აიცრნენ წითელას საწინააღმდეგო ვაქცინით; ასევე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №485 დადგენილების შესაბამისად, სასწავლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვისთვის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა 10 სახეობის ჰიგიენური საშუალებისა და სადეზინფექციო მომსახურების ტენდერით შესყიდვა და შედეგად, საბავშვო ბაღებში ხდება გეგმიური დეზინფექცია, დეზინსექცია და ტერატიზაცია.

საბავშო ბაგა-ბაღების პერსონალის ხელფასები, ერთ-ერთ პრობლემად დაასახელა სააგენტოს დირექტორმა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღების პერსონალისთვის ღირსეული ანაზრაურების შეთავაზება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ჯერ-ჯერობით გამოწვევად რჩება თბილისისთვის. დეპუტატმა ასევე, გაიხსენა თბილისის მერის, ბატონი კახა კალაძის პოზიცია საკითხთან მიმართებით, რომ ბაგა-ბაღების პერსონალი იმსახურებს ღირსეულ ანაზღაურებას იმ დიდი და საპასუხისმგებლო შრომისთვის, რომელსაც ისინი ეწევიან მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებისთვის.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ ასევე აღნიშნა, რომ სააგენტო ხელს უწყობს მშობლების აქტიურად ჩართვას სააღმზრდელო პროცესში, ასევე დირექტორთა საბჭოს, რომელმაც დაახლოებით 10 შეხვედრა გამართა და მისი ჩართულობით მოხდა კვების მენიუს შეცვლა. გარდა ამისა, სააგენტოს დირექტორის თქმით, მნიშვნელოვანია ზეიმების სტანდარტის გადახედვა ბავშვისთვის არასტრესული გარემოს შექმნის მინით, რაზეც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად იქნება მიღებული გადაწყვეტილება. დასასრულს კი აღნიშნა, რომ 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება დაახლოებით 90%-ს შეადგენს.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა შალვა ოგბაიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს და მის გუნდს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ როგორც მაჟორიტარ წევრს, კარგი კომუნიკაცია აქვს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან, 1993 წლიდან დღემდე კი, თბილისის საბავშვო ბაღებისთვის მსგავსი შინაარსისა და რაოდენობის პროექტი არ განხორციელებულა. დეპუტატის თქმით, მის სამაჟორიტაროში, ავჭალაში სამი ავარიული საბავშვო ბაღი იყო, რომლებიც დაიხურა, მათ ადგილას კი 18 თვეში სამი ახალი ბაღი გაიხსნება, რომლებიც დაემატებიან ამავე ტერიტორიაზე 2018-ში გახსნილ N53 საბავშვო ბაღს.

ბატონმა შალვა ოგბაიძემ კვლავ წამოჭრა საკითხი საბავშო ბაღების ეზოების მოწყობასთან დაკავშირებით შეხვედრის საჭიროების თაობაზე, რომელზეც საკრებულოს მაჟორიტარები წარმოადგენენ საკუთარ სამაჟორიტარო ტერიტორიებზე მდებარე ბაღების საჭიროებების შესახებ ინფორმაციას.

ბატონმა გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ თბილისის გამგეობები უზრუნველყოფენ თავიანთ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე ბაღების ეზოების კეთილმოწყობას, რითაც სააგენტოს გამოუთავისუფლდება ფინანსური სახსრები სხვა მასშტაბური პროექტებისთვის.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ საკითხი სიღრმისეულად საჭიროებს განხილვას, რადგან საბავშვო ბაღების ეზოების მოწყობას სჭირდება სპეციალური კონცეფცია, რომელიც ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უნდა ჰქონდეს. რაზეც ქალბატონმა ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ კონცეფციას შექმნის სააგენტო, ხოლო ტექნიკურ სამუშაოებს განახორციელებენ გამგეობები.

დეპუტატმა, ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება საბავშვო ბაღების ეზოების ერთიანი სტანდარტით მოპირკეთების პროცესში გამგეობების

ჩართულობას და აქვე გამოთქვა მზაობა საკითხის გამგეობებთან შეხვედრის ფორმატში განხილვაში ჩართულობისთვის.

ბატონმა შალვა ოგბაიძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ თვითმმართველობებმა უნდა უზრუნველყონ საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა წარმართოს განათლების საერთო პოლიტიკა.

დეპუტატმა, ასევე მიაწოდა ინფორმაცია სხდომის მონაწილეებს ქართველი მოჭადრაკის, მაია ლომინეიშვილის კამპანიის შესახებ, რომლის ფარგლებში ბაღის აღსაზრდელებს ურიგდებათ ასაწყობი სურათები, რაც ევროპის ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია და ხელს უწყობს აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას და მისი აზრით, მიზანშეწონილი იქნება მსგავსი მეთოდოლოგიით, ბავშვებისთვის ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ერთობლივი მუშაობით დაიწყო ნეიროპლასტიურობის პროგრამა, რომელიც წარმატებულად მიმდინარეობს და შესაბამისად, კომისია მიესალმება მსგავს ინოვაციურ მიდგომებს. აქვე დაინტერესდა დაინერგება თუ არა სხვა ბაღებში აღნიშნული მეთოდოლოგია, რაზეც სააგენტოს ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება 113-ე საჯარო ბაგა-ბაღი და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანი ინვესტიციაა მომავალ თაობაში. კომისიის წევრმა, ქალბატონმა ქეთევან ჯოხაძემ სურვილი გამოთქვა პროგრამის გლდანის რაიონში მდებარე რომელიმე საბავშო ბაგა-ბაღში საპილოტედ დანერგვის თაობაზე.

ნეიროპლასტიურობის პროგრამასთან დაკავშირებით, კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ მას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე და წარმატებული შედეგი იქნება, თუნდაც, დარღვევის მქონე ბავშვების 10%-ის განკურნების მიღწევა.

საკრებულოს წევრი, ბატონი ილია ჯიშკარიანი დაინტერესდა ბაღის პერსონალისთვის ანაზღაურების ზრდის საკითხით და აღნიშნა, რომ ეს ადამიანები ასრულებენ საპასუხისმგებლო საქმიანობას შეუსაბამოდ დაბალი ანაზღაურებით, რასაც დაეთანხმა კომისიის წევრი, დეპუტატი ანა ლაშხი.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებსა და პერსონალს, ასევე ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, განსაკუთრებულად რთული და მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ მათი ანაზღაურების ზრდის საკითხი

აქტუალურია და მიმდინარეობს კომპლექსური მუშაობა სხვადასხვა უწყებების დონეზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
კახაბერ გვანცელაძემ, თამარ ტალიაშვილმა, რევაზ სოხაძემ, გიორგი ტყემალაძემ, მარიკა დარჩიამ, ქეთევან ჯოხაძემ, ილია ჯიშკარიანმა, ანა ლაშხმა, ავთანდილ ცინცაძემ, ერეკლე კუხიანიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წლის 6 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასებისა და მისი ცნობად მიღების შესახებ:

მომხრე _____	6
მოწინააღმდეგე _____	0
თავი შეიკავა _____	0

ერთხმად გადაწყვიტეს: განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წლის 6 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ ანგარიშს და ცნობად იღებს მას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი